ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1312249

ნომერი: AR1223973

თარიღი : 29.05.2014

გაცემის თარიღი : 05.06.2014

გაცნობის თარიღი : 18.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვ. ბაგრატიონი , კორპუსი 5 , ბლოკი II ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კობიძე პ/ნ 01030022471
- თბილისი გ.ჩიტაიას ქ. N 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე არსებული გაზის მილის ადგილმონაცვლეობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ვ. ბაგრატიონის ქ. კორპ. #5, ბლოკი II (ნაკვ: 013/020), შპს. „მ–ლაინი“–ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე არსებული გაზის მილის ადგილმონაცვლეობის ნებართვას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. #882012957044 04/10/2012წ. საკადასტრო კოდი #01.13.05.013.020.01.546; ამხანაგობის კრების ოქმი; შპს. „ყაზტრანსგაზ–თბილისი“–ს ტექნიკური პირობა პროექტირებისათვის; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, ვ. ბაგრატიონის ქ. კორპ. #5, ბლოკი II (ნაკვ: 013/020), შპს. „მ–ლაინი“–ს საკუთრებაში არსებულ ფართის ფასადზე არსებული გაზის მილის ადგილმონაცვლეობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ გათვალისწინებულ იქნას შპს. „ყაზტრანსგაზ–თბილისი“–ს ტექნიკურ პირობში მითითებული შენიშვნები.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge